

ანოტაცია

ბიოდეგრადირებადი პარკების ნარჩენები, რომლებიც მიიჩნევა როგორც "ეკოლოგიურად სუფთა" მასალა, საბოლოოდ ბუნებრივ გარემოში ხვდება. ბიოდეგრადირებადი პარკები უფრო სწრაფად იშლება, ვიდრე სხვა ტრადიციული პარკები, რომელთა დეგრადაციას ასობით წელი სჭირდება. ერთჯერადი მოხმარების პარკების გარემოზე ზემოქმედების პრობლემა დღემდე გამოწვევად რჩება. სწორედ ამიტომ მიიპყრო ყურადღება ბიოდეგრადირებადმა ალტერნატივებმა, როგორც ერთ-ერთმა გამოსავალმა პრობლემების აღმოსაფხვრელად. თუმცა, მათი წარმოებაც ბოლომდე აღიარებული და უსაფრთხო როდია. ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების, გამოყენების და შემდგომში მათი გარემოზე ზემოქმედების შეფასება თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. წარმოდგენილი კვლევის მიზანს სწორედ ბიოდეგრადირებადი პარკების გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს. კერძოდ, კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში მოხმარებული ერთჯერადი პარკების ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების რისკის შეფასებას, პარკების ბიოდეგრადაციის ხარისხისა და გამოყენებულ მასალაში მძიმე მეტალების ნარჩენების განსაზღვრის გზით. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პარკების უმეტესობა არ წარმოადგენს მძიმე მეტალებით დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს, ვინაიდან თითქმის ყველა ნიმუშში მეტალების შემცველობა ნორმის ფარგლებში იყო, გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც ტყვია იყო ნორმაზე მაღალი. რაც თავის მხრივ, რისკის შემცველია საზოგადოებისთვისა და გარემოსთვისაც. ასევე პარკების ნიმუშების 78.5 % არაბიოდეგრადირებადი აღმოჩნდა, რაც თავის მხრივ, ეკოლოგიურ რისკებთან არის დაკავშირებული.